პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО · ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 ივნისი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 126 (9793) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია

საინფორმაციო ცნობა

1988 წლის 28 ივნისს მოსკოვის კრემლის ყრილობათა სახასლეში საქმიან ვითარებაში, ლენინური ტრადიციების სულისკვეთებით მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენციამ.

წინა კონფერენციისაგან მას 47 წელი აშორებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოწვეული XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია შეიკრიბა გარდაქმნის გარდამტეხ ეტაპზე, რათა პასუხი გასცეს პარტიისა და ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობის კითხვებს: როგორია გარდაქმნის პირველი შედეგები, რა უნდა გაკეთდეს მის გზაზე აღმართულ დაბრკოლებათა აღმოფხვრისათვის, როგორ უნდა გავსადოთ რევოლუციური განახლების პროცესი შეუქცევადად.

კონფერენციას წინ უძღოდა ნაყოფიერი და გულახდილი დისკუსია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების გამო. დისკუსიის დროს კომუნისტებმა და უპარტიოებმა გამოთქვეს ბევრი კონსტრუქციული წინადადება და კრიტიკული შენიშვნა, რომელთა მიზანია საბჭოთა საზოგადოების შემდგომი შეკავშირება და კონსოლიდაცია, გარდაქმნის გაღრმავება.

დილის 10 საათია. დელეგატები ტაშით მიესალმებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს. ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის და ვ. მ. ჩებრიკოვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. დელეგაციათა წარმომადგენლების სახელით მან წინადადება შეიტანა აირჩიონ კონფერენციის პრეზიდიუმი ყრილობაზე ნაკლები რაოდენობრივი შემადგენლობით — 112 კაცი. წინადადებას ერთხმულად ეთანხმებიან.

კონფერენციამ აგრეთვე მიიღო წინადადება დელეგატის მანდატი მიეცეს ამხ. ვ. ი. ვიალიასს — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რომელიც ამ პოსტზე აირჩიეს საერთო-პარტიულ კონფერენციაზე დელეგატთა არჩევნების დამთავრების შემდეგ.

შემდეგ ერთხმად ჩამოაყალიბეს კონფერენციის სხვა ხელმძღვანელი ორგანოები — სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები.

თავმჯდომარემ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა გამოაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ დამტკიცებული კონფერენციის დღის წესრიგი:

1. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრის ძირითადი შედეგები და პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები გარდაქმნის პროცესის გაღრმავებისათვის.

2. პარტიისა და საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის ღონისძიებანი.

მტკიცდება კონფერენციის დღის წესრიგი და რეგლამენტი. იღებენ წინადადებას ერთიან მოხსენებაში ჩამოაყალიბონ დღის წესრიგის როგორც პირველი, ისე მეორე საკითხის შინაარსი.

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვს.

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები“ დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს ხშირად გაისმოდა ტაში.

საღამოს სხდომაზე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი თავმჯდომარეობდა, კონფერენციის მონაწილენი შეუდგნენ მოხსენების განხილვას.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ვ. ბაკატინი — სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, დ. კ. მოტორნი — ხერსონის ოლქის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გ. ვ. კოლბინი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. კ. ბელიანინოვი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ლ. ი. აბალკინი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ე. ი. ჩაზოვი — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, ა. მ. მახალაევი — აღმოსავლეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ქირიკაშვილის მწვერვალი

ამ დღეებში ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპინურმა კლუბმა მიიღო წერილი, რომლის ასლი გაეგზავნა სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციას. გთავაზობთ ამ წერილის შინაარსს:

„გიგზავნით პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ სპორტსაზოგადოების კიევის საქალაქო საბჭოს მთამსვლელთა მიერ 1988 წლის 1-10 მაისს კავკასიონზე (ხდის ხეობა) 3820 მეტრის სიმაღლის მწვერვალზე განხორციელებული ასვლის ანგარიშს.

მარშრუტი გავლილია კიბიშის ცენტრალური უღელტეხილიდან დასავლეთის თხემით.

ცნობილია, რომ ამ დროს (მთამსვლელურ სეზონთაშორის) ხდის ხეობას უამრავი ალპინისტი ეწვევა ხოლმე. მაგრამ, საქმე ისაა, რომ მათი შესაძლებლობანი სპორტული თვალსაზრისით, სირთულის მარშრუტთა სიმცირის გამო, ძალზე შეზღუდულია. ამ მხრივ ბედმა გაგვიღიმა, როცა ხდისა და თერგის შესართავის რაიონში, 9-10 საათის სავალზე აღმოვაჩინეთ 3-ა კატეგორიის სირთულის უსახელო მწვერვალი, რომელიც დალაშქრა ჩვენმა ჯგუფმა — მეორეთანრიგოსანმა ალექსანდრ შიანმა, მესამეთანრიგოსნებმა სერგეი პილკევიჩმა, პაველ სვინციცკიმ, ვიტალი ოსლონმა (ინსტრუქტორი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ალექსანდრ სტეფანოვიჩი).

მწვერვალზე პირველამსვლელთა უფლებით ამ უსახელო მთას ვუწოდეთ აქაური მკვიდრის, ცნობილი ქართველი მთამსვლელის სახელი — „ვახტანგ ქირიკაშვილი“, რომელიც 20 წლის წინათ დაიღუპა მთაში.

ასვლის ხელმძღვანელი
ა. სტეფანოვიჩი.“

+1

ახალი მოედანი ჭიათურაში

ჭიათურაში გაიხსნა ახალი სპორტული მოედანი. გაიმართა შეჯიბრება მინიფეხბურთში. სარბიელზე ჯერ სტალინისა და იაშვილის ქუჩების გუნდები წარსდგნენ. გაიმარჯვეს იაშვილის ქუჩელებმა 2:0, შემდეგ შეჯიბრებაში ჩაებნენ ნაგუთისა და სტალინის ქუჩების კოლექტივები. გაიმარჯვეს ნაგუთელებმა, რომელთაც თასი და სიგელი გადაეცათ. ბაზის მშენებლობა ითავეს ჭიათურმშენის VIII უბნის თანამშრომლებმა, რომლებმაც თავდაუზოგავად იშრომეს, რათა ხორცი შეესხათ არქიტექტორ მურად ხვედელიძის პროექტისათვის.

თინა ნიორაძე.

P.S. ამ სპორტული მოედნის მშენებლობა „ლელოს“ კონტროლზე იყო.

ესტაფეტა: მოსკოვი — ვლადივოსტოკი

26 ივნისს მოსკოვში, „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე, სტარტი აიღო დიდმა მძლეოსნურმა ესტაფეტამ, რომლის ეტაპებზე საერთო ჯამში 200 ათასამდე მონაწილე იასპარეზებს. ესტაფეტის მარშრუტი თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკაში გაივლის და 77 დღეს მოიცავს. ამ ზემარათონის ფინიში 11 სექტემბერს შედგება ვლადივოსტოკში, სადაც მორბენლები XXIV საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე მიმავალ საბჭოთა სპორტსმენებს საზეიმო ვითარებაში გადასცემენ მიმართვას ოლიმპიელებისადმი. დინამოელთა ესტაფეტაში, რომლის იდეა დაიბადა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალურ საბჭოში (მას აქტიურად დაუჭირეს მხარი საკავშირო სპორტკომიტეტმა და კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა), მონაწილეობის უფლება შეუძლია არა მარტო ამ სპორტსაზოგადოების წევრებს, არამედ ყველა მსურველს.

გამოფენა „სპორტის სამყარო“ თბილისსაც ჯვრეა

2 ივლისს თბილისში, ჰადრაკის სახახლეში გაიხსნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივი ფოტოგამოფენა „სპორტის სამყარო“. ეს გამოფენა უკვე ეწვია მოსკოვს, მინსკს და ვილნიუსს. მომავალი წლიდან გამოფენა ჩატარდება ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, დეტროიტში და ლოს-ანჯელესში. გამოფენის ორგანიზატორები არიან საბჭოთა გამოცემა „ოლიმპიური პანორამა“ და ამერიკის ყურნალი „სპორტ ილუსტრაიტედი“.

2 ივლისს გამოფენა გაიხსნება 16 საათზე. პრეზეკონფერენცია ჩატარდება იმავე დღეს 18 საათზე.

გთხოვთ გვეწვიოთ!

სპორტი საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში



ჩატარდა თბილისის სამედიცინო სახწავლებლების რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, შდ-ს მრავალჭიდი, მძლეოსნობა და ცურვა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის პირველმა სამედიცინო სახწავლებელმა. ამ კოლექტივის სპორტსმენებმა შვიდი სახეობიდან ექვსში პირველი ადგილი დაიკავეს.

მეორე ადგილი წილად ხვდათ ქუთაისის წარმომადგენლებს, მესამე— ბათუმის სამედიცინო სახწავლებლის კოლექტივს.

კარლო სალუქვაძის ტექსტი და ფოტოები.

ცელებრიტი — ეკითხეთ



ლუქსემბურგი. ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მშვილდოსნობაში საბჭოთა სპორტსმენებმა ლიუდმილა არჟანოკოვამ და იური ლეონტიევმა მოიპოვეს. ფინალში ოთხ დისტანციაზე 36 ისრით მათ შესაბამისად 311 და 317 ქულა დააგროვეს. ახლა ჩასატარებელი დარჩა გუნდური შეჯიბრება.

ფხენიანი. მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში ჩატარდა მრავალჭიდელთა დავა მასპინძელმა მენ ხვამ მოიგო — 38,90 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ოქსანა კოსტინა, რომელიც გამარჯვებულს ერთი მეათედი ქულით ჩამორჩა და რომელმაც უმაღლესი შეფასებები მიიღო სახტუნებლითა და გურზებით ვარჯიშში.

პეკინი. კალათბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის გუნდები. ჩვენმა ნაკრებმა ნახევარფინალში პოლონეთის გუნდი დამარცხა 66:62 (39:41), ჩინეთმა კი ამავე ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები 88:80 (50:40).

ტაიბეი (ტაივანი). „ჯონსის თასი“ — ასე ეწოდებოდა კალათბურთელ ქალთა დიდ ტურნირს, რომელიც აქ გაიმართა და რომელშიც სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ოლიმპიადის მასპინძელმა — სამხრეთ კორეის გუნდმა. ფინალში მან აშშ-ს ნაკრები დამარცხა 84:75.

ოლიმპიადა-88

დინამოელები ტრადიციას არ ღალატობენ

სეულის ოლიმპიურ თამაშებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. თითქმის ყოველ ახალ შეჯიბრებას კორექტივები შეაქვს ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, თუმცა არის სპორტის სახეობები, სადაც ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია — ცნობილია ოლიმპიელები ვინაობა. დღეიდან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოვლენ რესპუბლიკის ცალკეული სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები. ისინი გვესაუბრებიან ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში თავიანთ წარმომადგენლებზე, გავეცნობით კანდიდატთა გეგმებს. ამასთან, თვალს გადავავლებთ ტრადიციებს და იმ წვლილს, რაც შესაბამისი სპორტსაზოგადოების თუ უწყების წარმომადგენელთა შედეგებში შეაქვთ ჩვენს სპორტსმენებს. პირველ სიტყვას ვაძლევთ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მილიციის გენერალს ჯემალ მიქელაძეს.

⊙ დავიწყოთ ისტორიით. საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში 1952 წლიდან მონაწილეობენ. საქართველოს დინამოელები ოლიმპიადებში თავიანთი მონაპოვრით რა ადგილს იკავებდნენ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ქალაქებს (მხედველობაში გვაქვს მოსკოვი და ლენინგრადი), დინამოელთა შორის?

— საერთოდ, ჩვენს სპორტულ საზოგადოებაში ლიდერებად ითვლებიან რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, მოსკოვის, ლენინგრადის და საქართველოს ორგანიზაციები. კონკრეტულად: 1952 წელს საქართველოს წარგზავნილებმა ქვეყნის დინამოელთა შორის ოლიმპიური შედეგებით დაიკავეს II ადგილი, 1956 —IV; 1960 — IV, 1964 — II, 1968 — IV, 1972 — V, 1976 წლიდან მოყოლებული კი ჩვენები VI ადგილზე გადიან.

⊙ დღეს ვის რამდენი კანდიდატი ჰყავს ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდში?

— ქვეყნის დინამოელთა კოლექტივები სამ ჯგუფად არიან დაყოფილნი. დღეს უკვე ვიცით, ჩვენს ჯგუფში ვინ რამდენი კანდიდატითაა წარმოდგენილი ოლიმპიურ ნაკრებში. მაგალითად, სომხეთს 5 კანდიდატი ჰყავს, აზერბაიჯანს — 4, საქართველოს — 8, ლატვიას — 4, ლიტვას — 11, ესტონეთს —4, უზბეკეთს — ასევე 4.

⊙ თუ შეიძლება, ცალ-ცალკე წარმოგვიდგენეთ ჩვენი რესპუბლიკიდან დინამოელი ოლიმპიელები და მოკლედ ისიც გვითხარით, რა შედეგს უგეგმავენ მათ.

— მე წარმოგიდგენთ შედარებით რეალურ კანდიდატებს. აი, ისინი:

გელა კეტაშვილი (დაბადებულია 1965 წელს), ფეხბურთი. როგორც ნაკრების სხვა წევრები, ძირითადად ემზადება თავის კლუბში. გუნდს უგეგმავენ ოქროს მედლებს;

მიხეილ გიორგაძე (1961), წყალბურთი. ამჟამად შეკრებაზეა ბულგარეთში. ივლისში ნაკრები ეწევა იტალიას, აგვისტოში შეკრება და მზადება გაგრძელდება ეშერის სპორტულ კომპლექსში. ოლიმპიადისწინა მზადება გათვალისწინებულია შორეული აღმოსავლეთის რომელიმე ქალაქში. გუნდს უგეგმავენ ოქროს მედლებს;

გიორგი ჩოგოვაძე (1969), წყალში ხტომა. ამჟამად თბილისშია. ივლისში იასპარეზებს პოლონეთში, აგვისტოში ალმა-ათაში — ქვეყნის ჩემპიონატში, შემდეგ ეწყობა შეკრებები მოსკოვსა და შორეულ აღმოსავლეთში, ცხადია, მედალს უგეგმავენ;

თამაზ იმნაიშვილი (1954), სასტენდო სროლა. ივლისის პირველ ნახევარში მოსკოვში იქნება შეკრებაზე და იქიდან კი გაემგზავრება თურქეთში ევროპის პირველობაზე. აგვისტოში საბოლოო შეკრებებია ჯერ მოსკოვში და შემდეგ ხაბაროვსკში. იმნაიშვილზე დიდ იმედებს ამყარებენ ნაკრების მწვრთნელები და ოლიმპიურ მედალსაც უგეგმავენ;

დავით გობეჯიშვილი (1963), თავისუფალი ჭიდაობა. ქვეყნის ჩემპიონატის შემდეგ, სადაც ხადარცევი არ გამოდიოდა, დავითმა განიმტკიცა ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის შანსი. საბოლოოდ კისლოვოდსკში, საკონტროლო შეხვედრებში გადაწყდება, ვინ გაემგზავრება სეულში. გობეჯიშვილის წონაშიც, ცხადია, მხოლოდ პირველი ადგილია დაგეგმილი;

კახა ლომიშვილი (1967), ნიჩბოსნობა. კახამ ორადგილიანი ნავით მიზგინთან ერთად 500 და 1000 მეტრზე წლეულს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოიგო, ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირში კი მეოთხე იყო. ბოლო შეკრებებს ნიჩბოსნები (ამ დღეებში გუნდი გალში იყო) მოსკოვსა და შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთ რეგიონში გაივლიან. ნაკრების ძირითადი შემადგენლობა დადგინდება მოსკოვში ქვეყნის პირველობის შემდეგ. ლომიშვილსა და მიზგინს, თუ ისინი ოლიმპიადაზე წავლენ, ნაკრების ხელმძღვანელობა მედალს უგეგმავს;

ვლადიმერ აფციაური (1962), ფარიკაობა. ახლახან ქვეყნის ჩემპიონატში აფციაურმა მხოლოდ X ადგილი დაიკავა. ნაკრებ გუნდში იგი მაინც დარჩა იმ რვა კანდიდატს შორის, რომელთაგან საბოლოოდ ხუთი საუკეთესო შეირჩევა. ივლისის მეორე ნახევარში ბულგარესტში ჩატარდება დიდი ტურნირი. აფციაურისთვის ეს იქნება ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის ბოლო შანსი;

ოლეგ სტრიჟაკოვი (1963), მძლეოსნობა. ორი წელია საბჭოთა კავშირის სტაიერებს 1000 მეტრზე არ უასპარეზობია. ახლა დაწესდა საკონტროლო ნორმატივი — 28 წუთი. აგვისტოში კიევი უმასპინძლებს ქვეყნის ჩემპიონატს. საბოლოოდ იქ გაირკვევა საერთოდ წავლენ თუ არა ჩვენი სტაიერები ოლიმპიადაზე და კონკრეტულად ვინ მიიღებს საგზურს.

მინდა დავასახელო აგრეთვე **აკაკი კიბორძალიძე** (1963) და **ლერი ნაკანი** (1963), ორივე სპორტსმენი ძიუდოისტია, ნაკრებში ორივე ამჯერად № 2 კანდიდატია. ვფიქრობ, აქ ბოლო დღემდე არ გაირკვევა, ვინ მიიღებს სეულის საგზურს. კონკურენცია ძალზე დიდია. აი, სულ ესენი არიან ძირითადი და, ასე ვთქვათ, სათადარიგო კანდიდატები.

⊙ თქვენ ის სპორტსმენებიც დაასახელეთ, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სხვა სპორტული საზოგადოებების სიებშიც ირიცხებიან, მაგალითად, ჩოგოვაძე და ლომიშვილი. ისინი ძირითადად დინამოელები არიან, თუ ორი სპორტსაზოგადოება გაიყოფს მათ მიერ მოპოვებულ ქულებს?

— ჩოგოვაძეც და ლომიშვილიც მხოლოდ დინამოელები არიან. თავად განსაჯეთ: ჩოგოვაძე ამჟამად ნამდვილ სამხედრო სავალდებულო სამსახურს გადის „დინამოს“ ჯარებში, ლომიშვილმა კი დაამთავრა სამსახური და სურვილი გამოთქვა გახდეს „დინამოს“ წევრი. ასე რომ, არსებობს წესი...

⊙ მოსკოვის ოლიმპიადაზე რამდენი წარმომადგენელი გყავდათ?

— შვიდი.

⊙ თუ შეიძლება, მათი შედეგებიც გაგვაცანით...

— მოპოვებულია ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი. ქულებსაც გეტყვით — 13,04.

⊙ მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ ჩატარდა შეჯიბრებები „მეგობრობა-84“-ის პროგრამით. ეს ფაქტობრივად ოლიმპიადის დონის ასპარეზობა იყო მათთვის, ვინც იმ წელიწადს ოლიმპიურ თამაშებზე არ ყოფილა.

— „მეგობრობა-84“-ის შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკიდან ასპარეზობდა ექვსი დინამოელი. ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი, 17,74 ქულა — ასეთია საბოლოო შედეგები. მაშინ ტერნოვიც მეორე იყო, მაგრამ, რაკი სამბო ოლიმპიურ პროგრამაში არ შედიოდა, ეს მედალი სათვალაში არც ჩვენ შეგვაქვს.

⊙ რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებს საქართველოს სპორტსახკომისგან დავალებული ჰქონდათ კონტროლი გაეწიათ ოლიმპიადის კანდიდატებთან მუშაობის სისტემატურობისა და მათი მზადებისათვის. თქვენთან რა ღონისძიებები გატარდა?

— შემუშავებულია თითოეული კანდიდატის მზადების ინდივიდუალური გეგმა, რომლის შესრულებასაც უშუალოდ აკონტროლებდნენ და აკონტროლებენ მწვრთნელი და ჩვენი საზოგადოების სასწავლო-სპორტული განყოფილება. შემოღებულია ე. წ. „გაცვლითი ბარათი“, სადაც ზუსტად აღინუსხება ნაკრებთან მიღებული თუ დავალებთან შინ მიცემული დატვირთვა. შექმნილია ოლიმპიური მზადების საუწყებო კომისია, რომელიც მუშაობს დებულების შესაბამისად. ეს კომისია შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი ბრძანებით შეიქმნა 1986 წლის ივლისში. ყველა მნიშვნელოვან საკითხს კომისიის სხდომაზე განვიხილავთ. თითოეულ ოლიმპიელზე მიმაგრებულია რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი; შემუშავებული გვაქვს საბოლოო ეტაპზე ოლიმპიელთა მზადების კონტროლის გრაფიკი. ერთი სიტყვით, შექმნილია დახმარების და კონტროლის სრული სისტემა.

⊙ რაკი თქვენ არაფერი თქვით, მე ვიტყვი იმ მუშაობის შესახებ, რასაც თქვენი საზოგადოება, მისი ხელმძღვანელობა ეწევა თითოეულ სპორტსმენთან. გულისხმიერება და ყურადღება მათ თქვენი მხრიდან არ აკლიათ. მოკლედ რომ ვთქვათ, წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის ფაქტორი...

— სპორტსმენი პირველ ყოვლისა ადამიანია, შეიძლება ზედმეტად მგრძნობიარე და სათუთი პიროვნებაც კი; მასაც აქვს პრობლემები, რაც უარყოფითად მოქმედებს სპორტულ შედეგებზე. ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ. ამას წინათ ერთად შევხვდით ყველა ოლიმპიელს და „დინამოს“ ვეტერან სპორტსმენებს. კარგი, თბილი შეხვედრა გამოვიდა. სპორტსმენებმა ილაპარაკეს ცხოვრებისეულ პრობლემებზე. შევეცადეთ, ყველასთვის გაგვეგო, დავხმარებოდით.

⊙ ვიდრე ოლიმპიადა დაიწყება, მოგიხდებათ თუ არა გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება?

— თქვენს გაზეთში გამოსვლაც ცხადია, თავისებური ანგარიშია, სულ მალე კი ჩვენი სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს ოლიმპიელთა მზადყოფნის შედეგებს. პრეზიდიუმს, რაღა თქმა უნდა, ჩვენც ჩავბარებთ ანგარიშს.

ესაუბრა **თენგიზ თომაშვილი.**

ვის რა ნვლილი შეაქვს?

გეპატიჟებათ „გრაციაში“

სპორტულ დარბაზში ჩვენი ყურადღება ერთმა ქალიშვილმა მიიპყრო. იგი ცდილობდა მწვრთნელის ყველა მითითება განსაკუთრებით გულმოდგინედ შეესრულებინა. ეს ქალიშვილი უნგრელი პოეტი ჰაინალკა ბაბირაქი აღმოჩნდა. ჰაინალკასთან საუბარს უფრო ქვემოთ შემოგთავაზებთ, ახლა კი გაგაცნობთ კიდევ ერთ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კოოპერატივს, რომელსაც „გრაცია“ ჰქვია.

„გრაცია“ მოვარჯიშეებს ჰპირდება ჯანმრთელობის გაკაჟებას და ახალგაზრდობის ხანგრძლივად შენარჩუნებას, ეს კი, დაგვეთანხმებით, არც ისე ცოტაა. კოოპერატივის თავმჯდომარეს სოსო ქოქიაშვილს მოვუსმინოთ.

— მინდა დავიწყო საკმაოდ დრამატული სტატისტიკით: ჩვენს ქვეყანაში ყოველი მესამე-მეოთხე ავადმყოფი ათეროსკლეროზით იღუპება. ავადმყოფობის წინაპირობად მეცნიერები თვლიან თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესს: ცოტა მოძრაობა, კალორიული, ბარაქიანი საკვები და სტრესები. საშწუხარო სტატისტიკაა, არა? ჩვენი მიზანია მინიმალურად შევამციროთ ყოველგვარი ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზები.

⊙ უფრო კონკრეტულად ხომ არ გვეტყოდით, რა საშუალებები გაქვთ საამისოდ?

— ჩვენს კოოპერატივში მომეცადინეებს ყოველგვარი პირობები აქვთ ფიზიკური გაკაჟებისთვის. თავის ქება გამოგვდის, მაგრამ ასეთი სპორტული დარბაზი ბევრი როდია თბილისში. გვაქვს თანამედროვე ტრენაჟორები. აქვე, ამავე შენობაში, მსურველებს საშუალება აქვთ კვირაში სამჯერ იმეცადინონ საცურაო აუზში. მათ, ვინც ცურვა არ იცის, სპეციალისტები მოემსახურებიან. კვირაში ერთხელ მსურველთა განკარგულებაში იქნება საუნა. ჩვენს კოოპერატივში უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტები მუშაობენ. გარდა ამისა, მოვარჯიშეებს მოემსახურება ორი ექიმი: თერაპევტი არჩილ მეფარიძე და ქირურგი-დიეტოლოგი ზაზა კორძაძე.

⊙ „გრაცია“ მხოლოდ ლამაზი ფიგურის შენარჩუნების მსურველებს მოემსახურება, თუ იმათაც, ვისაც ჯანმრთელობა სხვადასხვა მიზეზით შერყეული აქვს?

— ცხადია, ჩვენი ერთ-ერთი მიზანი მათი დახმარებაც არის. კოოპერატივში სპეციალურად შერჩეული ვარჯიშების მეშვეობით ვმკურნალობთ საკმაოდ გავრცელებულ ტრავმულ დაზიანებას — მენისკის ექტომიას, აგრეთვე სხვა, მათ შორის, ნერვიულ დაავადებებს. ბევრი უჩივის მარილების დაგროვებას. მოგეხსენებათ, ასეთ ავადმყოფებს მოძრაობის უნარი დაქვეითებული აქვთ. ცხადია, ასი პროცენტით განკურნებას ვერავის დავპირდებით, მედიცინის დღევანდელ ეტაპზე ეს შეუძლებელია, მაგრამ ჩვენთან ვარჯიშით დიდ შვებას რომ იგრძნობენ, ამის გარანტიას კი ყველას ვაძლევთ.

⊙ რამდენს იხდიან თქვენთან მომეცადინეები?

— თვეში 46 მანეთს.

⊙ ბევრი ქალიშვილი ეჭვით და ერთგვარი შიშითაც კი უყურებს ძალისმიერ ვარჯიშს, ფიქრობს, რომ ამით სინაზეს, სინატიფეს დაკარგავს...

— ფიზიკური ვარჯიში შეზღუდული სიმძიმეების გამოყენებით მათ მხოლოდ სიკეთეს მოუტანს. თანამედროვე კომფორტმა, ცხოვრების დღევანდელმა პირობებმა ჩვენს იოგებს მოქნილობა დაუკარგა. ძველი აღმოსავლური სიბრძნეა — ადამიანი იმდენ ხანს ცოცხლობს, რამდენსაც მისი სახსრებია. ვარჯიში სახსრებს ელასტიკურობას მატებს, ამაგრებს, ხელს უწყობს სისხლის მოძრაობას. მერწმუნეთ, ქალიშვილები ამით უფრო ნატიფნი და მიმზიდველნი გახდებიან.



საერთო ფიზიკურ მომზადებაში ვარჯიშს ატარებს სოსო ქოქიაშვილი; ტრენაჟორებზე ვარჯიში უფრო სახალისოა.

ავტორის ფოტოები.

⊙ ჩვენი რესპუბლიკა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ფიზკულტურაში ჩათვლის დანერგვის თაობასაა. დაეხმარება თუ არა თქვენი კოოპერატივი აბიტურიენტებს, ვისაც საშუალება არა აქვს დამოუკიდებლად ივარჯიშოს?

— აბიტურიენტებს ჩვენი კოოპერატივი ფართოდ გაუღებს კარს — დილის 11-დან 3 საათამდე. მათს განკარგულებაში იქნება სპორტული ბაზები, საცურაო აუზი. რაც შეეხება გადასახადს, ცხადია, მათთვის ფასები შეღავათიანი იქნება...

ახლა კი, როგორც წერილის დასაწყისში დაგპირდით, ჰაინალკა ბაბირაქი გვინდა გაგაცნოთ. იგი უნგრეთის აკადემიის ასპირანტია, თბილისს სექტემბერში ეწვია და სტაჟირებას გადის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. სწავლობს ქართულ ენას. ნათარგმნი აქვს ქართველი პოეტების ლექსები, რომლებიც უკვე დაიბეჭდა უნგრეთში. ჰაინალკამ ქართული წერა-კითხვა უნგრეთში ისწავლა. პოეზიის მოყვარულებმა ალბათ ყურადღება მიაქციეს 21 აპრილს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ქართულად დაწერილ მის ლექსებს. ჩვენი საუბარი უნგრელ პოეტთან და ქართველოლოგთან ქართულად წარიმართა.

⊙ თქვენ საკმაოდ დაკავებული ხართ ლიტერატურული საქმიანობით. ქართულსაც სწავლობთ. და აი, ფიზიკური ვარჯიშისთვის მაინც გამონახეთ დრო.

— ვარჯიში გამძლეობისა და ნებისყოფის გამომუშავების უებარი საშუალებაა. იგი პირიქით, მეხმარება, რომ გონებრივი მუშაობის დროს არ დავიღალო. ძალიან მიყვარს ფეხით სიარული. საქართველოში ბევრი ისტორიული ძეგლი ვნახე. ჩემი აზრით, ნავარჯიშები ადამიანი მიზნისკენ უფრო სწრაფად მიდის.

⊙ როგორი მდგომარეობაა უნგრეთში სპორტული კოოპერატივების მხრივ?

— ჩვენთან ამ ტიპის კოოპერატივები 70-იან წლებში გაიხსნა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. პატარა ქალაქ ოროსლაწში, სადაც მე დავიბადე და სკოლა დავამთავრე, კოოპერატივები ჯერჯერობით არ არის, მაგრამ გვაქვს სპორტული დარბაზი, დიდი საცურაო აუზი. მსურველებს შეუძლიათ აბონემენტი შეიძინონ და ივარჯიშონ.

⊙ რას იტყვით „გრაციაზე“?

— ახალგაზრდული კოლექტივია. ფანატიკურად უყვართ თავიანთი საქმე. ყველა მოწადინებულია, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ერის გაჯანსაღებაში. ვფიქრობ, მათი მონდომება ნაყოფს გამოიღებს.

ახლა ისღა დაგვრჩენია, კოოპერატივის მისამართი გაცნობოთ: უნივერსიტეტის ქუჩა № 6, სპორტული კომპლექსი „ბურევესტნიკი“. ტელეფონი: 39-59-38; 39-26-14, მეცადინეობა ტარდება დღეგამოშვებით, 19 და 21 საათზე. აბონემენტების შეძენა შეიძლება ყოველდღე, 10 საათიდან.

ჯემალ კასრაძე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

გზად შეაღლესი ლიგისაკენ

რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდებმა უკვე განვლეს პირველი ეტაპის ნახევარი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „შევარდენმა“ XI ტურში ნალჩიკში მოულოდნელად წააგო შეჯიბრების აუტსაიდერ, ადგილობრივ „უნივერსიტეტთან“ — 12:13, XII ტურში მოსკოვში დაამარცხა საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — 4:3, XIII ტურში კი ნოვოკუზნეცკს ეწვია და დამარცხდა ციმბირის მეტალურგიული ინსტიტუტის რეგბისტებთან — 6:10.

სტუმრად გამართული შეხვედრების შემდეგ „შევარდენმა“ ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის გუნდს უმასპინძლა. ფრიად დაძაბული ორთაბრძოლა, რომლის მიწურულს თბილისელები 14 მოთამაშის ამარა დარჩნენ (დაშავდნენ თეზელაშვილი და მუზაშვილი, გუნდს შეცვლათა ლიმიტი კი უკვე ამოწურული ჰქონდა), „შევარდენის“ გამარჯვებით დამთავრდა — 7:0 (3:0). საჯარიმო დარტყმით ანგარიში 38-ე წუთზე გახსნა საცერაძემ, მეორე ტაიმის 35-ე წუთზე ბიძინაშვილმა კაპანაძისა და გეგიძის წამოწყებული იერიში ლელოს გატანით დაგვირგვინა.

„შევარდენმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კალანდაძე; შანშიაშვილი (ბარსეგიანი), საცერაძე, კურატიშვილი, მუზაშვილი; ღვინიაშვილი, ჯანელიძე; გაგნიძე, გოდერძიშვილი, მაზანაშვილი (მჭედლიძე), ალექსიძე (ბიძინაშვილი), კახეთელიძე, ნ. მგელაძე, კაპანაძე, თეზელაშვილი (გეგიძე).

„შევარდენს“ 14 თამაშიდან 10 მოგება და 4 წაგება აქვს და მხოლოდ ერთპიროვნულ ლიდერს — ლვოვის „სოკოლს“ ჩამორჩება. შეჯიბრების პირველი ეტაპის დასასრულამდე კიდევ 8 ტური დარჩა. ლვოველ რეგბისტებს, ფაქტიურად, დაჯავშნული აქვთ ადგილი პირველ ოთხეულში, რაც მათ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ბრძოლის გაგრძელების უფლებას მისცემს. დანარჩენი სამი ადგილისთვის კი „შევარდენს“ მეტოქეობას უწევენ ნოვოკუზნეცკის, ხარკოვის, ტაგანროგისა და მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდები. 2 ივლისს „შევარდენი“ სწორედ მოსკოვის „სპარტაკს“ მიიღებს.

ვალერიან ჯიქია.

ჩემპიონატის ქრონიკა

◉ **ევროპის** VIII ჩემპიონატზე ჰოლანდიელთა დიდი წარმატების შემდეგ ამ გუნდის მწვრთნელი რინუს მიჰელსი, აღარ აპირებს თავის პოსტზე დარჩენას. შემოდგომიდან იგი სათავეში ჩაუდგება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ლევერკუზენის „ბაიერს“.

◉ **ფინალური** მატჩის დამთავრების შემდეგ ევროპის ახალმა ჩემპიონებმა, ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა, მიიღეს აღთქმული ჯილდო: თითოეულ მათგანს გადაეცა 100.000 მარკის ღირებულების ბანკის ჩეკი.

◉ **ევროპის** ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სულ 15 მატჩი გაიმართა. ნულოვანი ფრე (0:0) არც ერთ მატჩში არ აღნიშნულა, არც ერთხელ არ შექმნილა იმის საჭიროებაც, რომ დაენიშნათ მატჩისშემდგომი 11-მეტრიანები.

◉ **უველაზე** მეტი მაყურებელი მოვიდა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გფრ — ესპანეთისა და ჰოლანდია — სსრ კავშირის გუნდების შეხვედრებზე. თითოეულ ამ თამაშს ესწრებოდა 72.308 მაყურებელი.

◉ **სულ** ჩემპიონატზე დაინიშნა ოთხი 11-მეტრიანი. ესპანელმა მიჩელმა და საბჭოთა ფეხბურთელმა ბელანოვმა ვერ შეძლეს პენალტის რეალიზება.

◉ **ფინალური** მატჩის დღეს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე დაესწრენ 80 კაცი. როგორც დასავლეთ გერმანიის პოლიცია იუწყება, ესენი უმთავრესად იყვნენ ჯიბის ქურდები და ბილეთების გადამყიდველები. გარდა ამისა, პოლიციელებმა მაყურებლებს ჩამოართვეს რამდენიმე ასეული ბოთლი არაყი, 2 ათასი ლუდის ბოთლი და 360 დროშა, რომლებსაც ნებადართულზე უფრო მოზრდილი ტარი ჰქონდა.

◉ **ევროპის** ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩებში მინდვრიდან არ გაუძევებიათ არც ერთი ფეხბურთელი. 9 გაფრთხილება დაიმსახურა საბჭოთა ნაკრებმა, გაფრთხილებულთა შორის არიან ხდიატულინი (2), ლიტოვჩენკო (2), ბელანოვი, ბესონოვი, კუზნეცოვი, პროტასოვი, გოცმანოვი.

ტურნირის ექო

დავუბრუნოთ სილამაზე

ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირის დღეებში თბილისს ესტუმრა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი სარქის კალოდლიანი (არგენტინა).

ტურნირის დამთავრების შემდეგ ბატონი სარქის კალოდლიანი დათანხმდა ეპასუხა ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვებზე.

— მე ორასამდე საერთაშორისო შეჯიბრება მინახავს, — თქვა ბატონმა პრეზიდენტმა, — და შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ უძლიერეს ასპარეზობად. მე მესმის თქვენი სპეციალისტებისა და სპორტსმენებისა, რომლებიც ასეთ ტურნირში ცდილობენ შეამოწმონ თავიანთი შესაძლებლობა საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ. ოლიმპიადისათვის მზადებით დაკავებულმა ბევრმა უცხოელმა მოჭიდავემ კი ვერ გადაწყვიტა თბილისში ჩამოსვლა და ესეც გასაგებია: თქვენი ტურნირი, საბჭოთა ძიუდოს მაღალი კლასის გამო, უმძიმესი გამოცდაა ყველა სტუმრისთვის და ოლიმპიადის წინ ყველა ვერ გაბედავს ეს გამოცდა გაიაროს.

◉ ადრინდელ ტურნირებზე, რომლებიც სპორტული სეზონის დასაწყისში ტარდებოდა, ჩვენთან უფრო ტიტულიანი ძიუდოისტები ჩამოდიოდნენ. თქვენი აზრით, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა შეჯიბრება ისევ ძველ ვადებში გამართულიყო?

— როცა გნებავთ, მაშინ შეგიძლიათ ჩაატაროთ ეს შეჯიბრება, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია წინააღმდეგი არ იქნება. მაგრამ განაცხადი ამ ტურნირის ჩატარების ვადებზე თქვენი ქვეყნის სპორტის კომიტეტმა გამოგვიგზავნა და ჩვენც, რასაკვირველია, დავთანხმდით.

◉ იცნობთ თუ არა ქართველ ძიუდოისტებს?

— კარგად ვიცნობდი და ვიცნობ თქვენს უძლიერეს ოსტატებს, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზე გავიდნენ. მათ მაღალი რეპუტაცია შეიქმნეს უცხოეთში. სამწუხაროდ, მე თბილისის საერთაშორისო ტურნირის პირად პირველობას ვერ დავესწარი, გუნდურ შეჯიბრებაში კი ძალიან მომეწონა თქვენი მძიმე წონის მოჭიდავე. შევატყვე, დაშავებული იყო, კოჭლობდა, მაგრამ მაინც შესანიშნავად ჩაატარა ორთაბრძოლები (ლაპარაკია აკაკი კიბორძალიძეზე — რედ.). კარგი მოჭიდავეები გყავთ 60, 71, 78 კილოგრამ წონით კატეგორიებში... ვნახე თქვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობებიც.

◉ ჩვენი გაზეთის მკითხველს დაინტერესებს თქვენი სპორტული ბიოგრაფია. თუ შეიძლება მოკლედ გვითხარით მის შესახებ.

— ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, თუმცა ძიუდოს და, საერთოდ, სპორტს, მუდამ დიდი ზეგავლენა მქონია ჩემ ცხოვრებაზე. ვიყავი ბუენოს-აირესის რეგიონის და არგენტინის ოთხგზის ჩემპიონი. ესაც ეს. შემდეგ მწვრთნელადაც დავიწყე მუშაობა. მონრეალის ოლიმპიადისთვის მე ვამზადებდი ქვეყნის ნაკრებს.

ხუთ წელიწადს ვიყავი არგენტინის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი, შემდეგ ექვს წელიწადს — პანამერიკული ფედერაციისა ახლა კი ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ წილად მხვდა პატივი, სათავეში ჩავდგომოდი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას. პრეზიდენტის პოსტზე მე შევცვალე თვით „ძიუდოს გენია“, სახელგანთქმული სიგეიოსი მაცუმაე, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ფედერაციას.

◉ რა პრობლემები აქვს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს?

— როდესაც ამ პოსტზე ამირჩიეს, ფედერაციის ხაზინაში 240 დოლარი იყო. უსახსროდ, ცხადია, დიდ საქმეებზე ვერ იფიქრებ. საქმიანი, ურთიერთსასარგებლო კონტრაქტები დავამყარე ბევრ ფირმასთან, მომავალ სპონსორებთან. შვიდ თვეში ხაზინა 3 მილიონ დოლარამდე შეივსო... ეს თანხა იხარჯება ძიუდოს ბაზების ასაშენებლად, სპორტსმენების, სპეციალისტების მოსამზადებლად იმ ქვეყნებში, სადაც ძიუდოს ცუდად იცნობენ. გვაქვს სპეციალური საპრიზო ფონდი, ვაწყობთ საერთაშორისო შეჯიბრებებს...

ვცადე პაპადი წვლილიც შემეტანა ძიუდოს განვითარებაში. ფეხსაცმლის ორი ფაბრიკა მქონდა. ორივე გავყიდე და ამ ფულით ძიუდოს დარბაზები ავაშენე. იქ ვარჯიში უფასოა, ოღონდ საუნის, მასაჟისა და სხვა მომსახურებისთვის იხდიან მცირე თანხას.

◉ თუ შეიძლება ორიოდე სიტყვა გვითხარით ფედერაციის მომავალ გეგმებზე.

— გეგმები დიდი გვაქვს, გვინდა რამდენადმე შევცვალოთ შეჯიბრების ჩატარების წესებიც. ბოლო ხანს ამ სახეობაში წმინდა სპორტულმა ინტერესებმა დაჩაგრა სანახაობრივი მხარე და ჩვენ გვინდა ძველი სილამაზე დავუბრუნოთ მას, სილამაზე, რომლისთვისაც შეიყვარა იგი მსოფლიოს მილიონობით ადამიანმა.

ესაუბრა ალა ზენკო.

II ლიგა

მარცხი ფინალში

სეულში დამთავრდა წინასაოლიმპიადო საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში.

ფინალში სსრ კავშირის კლუბების ნაკრები შეხვდა ჩეხოსლოვაკიის გუნდს. ჩეხოსლოვაკიელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:1. მე-14 წუთზე პირველი ბურთი საკუთარ კარში გაიტანა ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელმა კადლეცმა, შემდეგ, 84-წუთზე ასეთივე ავტოგოლი გაიტანა საბჭოთა ფეხბურთელმა მალიუკოვმა, ორი წუთის შემდეგ კი მორავჩიკმა დააწინაურა ჩეხოსლოვაკიელები.

თამაში მესამე ადგილისათვის სამხრეთ კორეისა და ნიგერიის ოლიმპიელ ფეხბურთელთა შორის დამთავრდა სამხრეთკორეელთა გამარჯვებით — 3:2.

რიგის „დაუგავასა“ და ლანჩხუთის „გურიის“ მატჩში (I ლიგა), რომელიც ფრედ დამთავრდა — 2:2, ლანჩხუთელთა გუნდი წინ იყო ანგარიშით 2:0, ბურთები გაიტანეს ჟორდანიამ და ხლუსმა. რიგელებმა შემდგომში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (სტარიკოვი, სტეფანოვი).

გაფრთხილეს „გურიის“ ფეხბურთელი დანელია. ეს მისი მესამე გაფრთხლებაა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ესპანეთის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ კარლოს სანტილიანამ განაცხადა, რომ თავს ანებებს პროფესიულ სპორტს. თავისი ბოლო მატჩი „რეალის“ შემადგენლობაში 35 წლის ფეხბურთელმა „ვალიადოლიდის“ წინააღმდეგ ჩაატარა.

ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ყოფილი ნახევარმცველი სემი ლი „ქუინს პარკში“ გატარებული სეზონის შემდეგ ესპანეთის „ოსასუნამ“ მიიღო.

თბილისს არა აქვს საფეხბურთო მინდვრები

საქართველოს საფეხბურთო პირველობის მონაწილე ქალაქებისა და რაიონების გუნდებს საკმარისად აქვთ როგორც სტადიონები, ისე სათამაშო მინდვრები შეჯიბრებათა ჩასატარებლადაც და საწვრთნელადაც. მართალია, ყველა ეს ბაზა მთლიანად ვერ პასუხობს საჭირო მოთხოვნებს, მაგრამ, ავად თუ კარგად, ისინი კეთილსინდისიერად ემსახურებიან ჩვენს ფეხბურთელებს, ეს მინდვრები ვარგისად მიჩნეულია სპეციალურად შექმნილი კომისიების მიერ.

მაგრამ ამ მხრივ ყველაზე საგალალო მდგომარეობაშია რესპუბლიკის დედაქალაქი — თბილისი. წლევანდელ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში თბილისიდან 9 გუნდი მონაწილეობს: 1 — პირველში, 5 — მეორეში და 3 — მესამეში. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ არც რესპუბლიკურ სპორტსახკომს, არც თბილისის სპორტკომიტეტს არა აქვთ თავიანთი სტადიონები და სათამაშო მინდვრები. რაც კი ქალაქში სტადიონები და მოედნებია, ისინი სხვადასხვა სპორტსაზოგადოებებს ეკუთვნის და სპორტკომიტეტები იძულებული არიან მათ თხოვნით მიმართონ რესპუბლიკური თუ საქალაქო მასშტაბის ღონისძიებათა ჩასატარებლად. ამის გამოა, რომ ხშირ შემთხვევაში თვით რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომაც კი არ იცის ხოლმე თამაშის წინა დღეს სად ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატის კალენდარული მატჩი, ეს კი, ცხადია, გარკვეულ უხერხულობას იწვევს.

გამოუვალი მდგომარეობა იქმნება იმ დროს, როცა უამინდობაა, წვიმს და სტადიონების ხელმძღვანელები ამის გამო თამაშის უფლებას არ გვაძლევენ. ერთადერთი წიდიანი სათამაშო მინდორი „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გვაქვს და როცა თბილისის გუნდები მასპინძელთა როლში არიან, დროც არა გვყოფნის ყველა თამაშის აქ ჩასატარებლად. მზედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ ამ წიდიანი მინდვრის ზედაპირი უკვე დეფორმირებულია, წვიმის დროს ზედ გუბეები დგება და თამაშიც, არსებითად, თითქმის შეუძლებელი ხდება. წვიმიან ამინდში ამ მინდორზე შემდგარი მატჩი ფაქტიურად მეგობრული შარჟი თუა ფეხბურთის შეჯიბრებაზე, არადა, ამ მოედნის ზედაპირის მოსწორებას არც დიდი ხარჯები უნდა და არც დრო. საჭიროა ვინმემ მოინდომოს, დაინტერესდეს და „დინამოს“ სათადარიგო მინდორიც ღვთისნიერ სახეს მიიღებს.

თბილისში და მის გარეუბნებში, თუნდაც, დიდ დიდომში, ახლა დიდი სამუშაოები მიმდინარეობს, სწორედ აქაა საჭირო სათამაშო მინდვრების, წიდიანი მოედნების აშენება, რაც კარგი საჩუქარი იქნება ქალაქის ფეხბურთისთვის. ასეთივე მოედნები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებშიც უნდა მოეწყოს.

ქართული ფეხბურთის ახლანდელ ჩავარდნაზე ბევრს ვლაპარაკობთ, ერთმანეთს მოვეწყდებთ, მაგრამ მარტო სურვილებით და ლოზუნგებით შორს ვერ წავალთ. თბილისს სათამაშო მინდვრები ესჭიროება, უამისოდ ჩვენი ფეხბურთის აღმავლობა, ნორჩ მოთამაშეთა აღზრდა შეუძლებელია.

ოტია ჭოხლანია,
საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი ფეხბურთში, თბილისის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ცურვა ყველაზე უნდა იცოდეს

ეს დღეები ბათუმში

ბათუმის ცენტრალურ საცურაო აუზში მუდამ ხალხმრავლობაა. ერთნი ცურვის ანბანს ეუფლებიან, მეორენი ოსტატობას იმაღლებენ, სხვები უბრალოდ, ჯანმრთელობას იკაჟებენ. ამ აუზში განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო ცურვის კვირეულის დღეებში. აქ თავი მოიყარეს სპორტსმენებმა, ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლებმა, ცურვის მოყვარულებმა...

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მხიარულმა ესტაფეტებმა, რომლებშიც აკარის პიონერთა ბანაკების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. აქვე გაიმართა მშდ-ის პროგრამით ნორმატივების ჩაბარება ცურვაში, რაც 150-მდე ქალმა და ვაჟმა შეძლო.

რაღა თქმა უნდა, აუზი დაეთმო უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელ აბიტურიენტებს, რომლებიც ჩასათვლელ ნორმატივებს აბარებდნენ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ დღეებში გადაიხურა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი. ქარხნის 25-მეტრიანი საცურაო აუზი. ეს აჭარაში იქნება პირველი დახურული საცურაო აუზი, რომელიც სულ მალე მწყობრში ჩადგება და მოზარდი თაობის ცურვის შესწავლასა და დაოსტატებას დიდად შეუწყობს ხელს.

ლევან ქავთარაძე.

„დინამოს“ ჩემპიონები

თბილისი კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გიმართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კალათბურთში 1973-1974 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო თბილისის, ბელგოროდის, ჩელიაბინსკის, მოსკოვის, დნეპროპეტროვსკისა და ფრუნზეს გუნდებმა. ტურნირი ჩატარდა ერთ წრედ.

პირველი ადგილი და საზოგადოების ჩემპიონის სახელი თბილისელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს. გამარჯვებულებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მხოლოდ ფრუნზეს გუნდმა და ისიც სასტარტო შეხვედრაში. ბრძოლის ბედი გადაწყვიტა დამატებით დროში მოპოვებულმა ერთმა ქულამ — 69:68.

სხვა მატჩები მასპინძლებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და შესაბამისად დაამარცხეს: ბელგოროდი — 86:66, ჩელიაბინსკი — 79:61, მოსკოვი — 69:47 და დნეპროპეტროვსკი — 63:54. მეორე ადგილი ფრუნზეს კალათბურთელთა კოლექტივმა დაიკავა, მესამე — ჩელიაბინსკმა.

ვ. ტკაჩენკოს დაგრშნება

კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს თორმეტი გუნდი. ორი ფინალისტის ვინაობა უკვე, ცნობილია. ესენი არიან სამხრეთ კორეისა (ტურნირის მასპინძელი ქვეყანა) და აშშ-ს (წინა ოლიმპიადაზე გამარჯვებული) ნაკრები კოლექტივები, რომლებიც ტრადიციულად შესარჩევი მატჩებისაგან თავისუფალი არიან. დანარჩენ ათ გუნდს სპეციალურად ტურნირება გამოავლენს.

ერთი ასეთი შეჯიბრება, როშელშიც საბჭოთა კავშირის კალათბურთელებიც მონაწილეობენ გუშინწინ დაიწყო ამსტერდამში. აქ სეულის ოლიმპიადის სამი საგზური თამაშდება, არა და პრეტენდენტი საკმაოდ ბევრია. ჩვენი გუნდი დღეს, პირველ მატჩში პოლონეთის ნაკრებს ეთამაშება.

საბჭოთა კალათბურთელების უფროსი მწვრთნელის ალექსანდრე გომელსკის განცხადებით გუნდი კარგად უნდა გაისარჯოს, რომ ერთ-ერთ საგზურს დაეუფლოს.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არის ერთი საგულისხმო ცვლილება. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, რომელიც ტრავმითა და ავადმყოფობით იყო გამოწვეული მწყობრში ჩადგა მოსკოვის არმიელი, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ცენტრალური თავდამსხმელი ვლადიმერ ტკაჩენკო.

მასთან ერთად ნაკრების ღირსებას იცავენ: ცსკა-ს კიდევ ხუთი წარმომადგენელი — ვალერი გობოროვი (215 სმ), ვიქტორ პანკრაშკინი (215), ალექსანდრე ვოლკოვი (205), ვალერი ტარაკანოვი (200) და იგორ მიგლინიეკსი (200). აქვე არიან ალმაათელი ვალერი ტიხონენკო (206), ალექსანდრე ბელოსტენნი (214) კიევის „სტროიტელიდან“, შარუნას მარჩიულიონისი (186) ვილნიუსის „სტატიბიდან“, ტიიტ სოკი (190) ტალინის „კალევიდან“, ვლადიმერ ხომიჩუსი (190) და რიმას კურტინაიტისი (196) კაუნასის „ჟალგირისიდან“.

გთავაზობთ პირველ შედეგებს: ჰოლანდია — ირლანია 104:67, ესპანეთი — ინგლისი 98:64, გფრ — თურქეთი 89:82, იტალია — ფინეთი 109:76.

ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი 10 ივლისს დამთავრდება.

„სპორტპროგნოზი“

როსტოვის „როსტელმაშის“ თამაშებზე შედგენილი სპეციალური ბირაჟის შედეგები

1—1, 2—X, 3—1, 4—X, 5—1, 6—1 7—1, 8—1, 9—1, 10—X, 11—2, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რიაზანის ტრადიციული კროსი

ამ ცოტა ხნის წინ რიაზანში ჩატარდა ტრადიციული საკავშირო ასპარეზობა ავტოკროსში. საქართველოს წარმომადგენლები ამ შეჯიბრების მუდმივი სტუმრები არიან და თითქმის ყოველთვის აღწევენ გარკვეულ წარმატებას. ტრადიციას მათ არც ამჯერად უღალატეს.

რამდენიმე სიტყვა თავად ტურნირის შესახებ. 25 წლის წინ, რიაზანის მეოთხე ტაქსოპარკთან დაარსდა ავტოსპორტის კლუბი, რომელმაც გადაწყვიტა ყოველწლიურად, გამარჯვების დღის აღსანიშნავად მოეწყო საკავშირო შეჯიბრებები ავტოკროსში. თანდათან ეს წამოწყება ძალზე პრესტიჟულ ასპარეზობად იქცა. საკმარისია ითქვას, რომ დღემდე ჩატარებულ 22 ტურში ყველა რესპუბლიკის 3000-ზე მეტმა მრბოლმა მიიღო მონაწილეობა.

წლევანდელ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ყველა რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 311 წარმომადგენელი. საქართველოს ნაკრები ძირითადად მესამე მსუბუქი სატაქსომოტორო საწარმოს (დირექტორი ზ. ბერიაშვილი) ბაზაზე იყო დაკომპლექტებული. მის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი სპორტსმენები ლევან ღლონტი, გურამ დეკანოსიძე, თენგიზ ახვერდოვი, ნუგზარ ჟღენტი, ალექსანდრე ალიკპეროვი.

„ვოლგის“ კლასში ლ. ღლონტმა და თ. ახვერდოვმა შესაბამისად მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს. ამავე კლასში ასპარეზობდა ა. ალიკპეროვიც, რომლის მანქანასაც ტრასის ერთ-ერთ მონაკვეთზე თვალი მოძვრა, მაგრამ სპორტსმენმა შეძლო მისი „დამორჩილება“ და დისტანციის დამთავრება... სამ თვალზე. „ჟიგულების“ კლასში მერვე ადგილი დაიკავა ნ. ჟღენტმა.

სამინისტროებსა და უწყებებს შორის ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, ქალაქებს შორის — მესამე, ხოლო რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის — მეორე. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა, რაც, უდავოდ, წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ახლა ჩვენს სპორტსმენებს წინ სსრ კავშირის ჩემპიონატი ელოდებათ. წარმატების მოსაპოვებლად ავტოსპორტში მონდომებისა და დაუღალავი ვარჯიშის გარდა სათანადო დონეზე მომზადებული ტექნიკაც აუცილებელია, ჩვენი მრბოლები კი, რა დასამალია, საკმაოდ ძველი ავტომობილებით ასპარეზობენ. იმედია საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ჯეროვანი უურადღებით მოეკიდება სპორტსმენების მოთხოვნებს და ხელს შეუწყობს მათ მომავალი წარმატებების მოპოვებაში.

გ. გიაშვილი.

სურათებზე: „ვოლგის“ კლასის სარბოლო ავტომობილები დისტანციაზე; ტრასაზეა ლევან ღლონტი.

გ. მგალობლიშვილის ფოტოები.

ამინდი პრობლემებს ქმნის

ლონდონი. უიმბლდონის ტურნირის პირველი კვირის შემდეგ ჩოგბურთელებმა ერთდღიანი დასვენების უფლება მიიღეს. მერე კი ამინდი მკვეთრად შეიცვალა და ბევრი ორთაბრძოლა გადაიდო. ამის მიუხედავად სტატისტიკოსებმა პირველი რეკორდი უკვე დააფიქსირეს: თამაშებს დაესწრო 208 ათასი მაყურებელი. ეს შარშანდელ სარეკორდო შედეგს 15,4 ათასით აჭარბებს. საგრძნობლად არის გაზრდილი პრემიალურის ფონდიც. მან, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, სარეკორდო თანხას მიაღწია.

მაგრამ ჩოგბურთელებს ჯერჯერობით ყველაზე უფრო ამინდის პრობლემა აწუხებთ. წვიმის გამო ბევრი შეხვედრა შეწყდა, ბევრი გადაიდო, ბევრი კი საერთოდ არ ჩატარდა. ბოლოს და ბოლოს როგორც იქნა დამთავრდა ლარისა სავჩენკოსა და მარტინა ნავრატილოვას შეხვედრა, რომელიც შეწყვეტილი იყო საბჭოთა ჩოგბურთელის სასარგებლოდ — 4:2. ნავრატილოვამ მოიგო ეს ორთაბრძოლა (6:4, 6:2) და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ზინა ჰარისონი (ისიც აშშ-დანაა) იქნება.

გაიმართა ქალთა სხვა მეოთხედფინალური შეხვედრები, რომლებმაც ნახევარფინალისტები გამოავლინა. ესენი არიან შტეფი გრაფი (გფრ)— დაამარცხა მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) 6:2, 6:2, კრის ეფერტი (აშშ) — აჯობა თანამემამულე კატრინ ადამსს 5:7, 6:3, 6:0, პამ შრაივერი (აშშ) — მოუგო კატერინა მალეევას (ბულგარეთი) 6:2, 6:2. ნახევარფინალის მეოთხე მონაწილეს, როგორც ავღნიშნეთ, ნავრატილოვა — ჰარისონის შეხვედრა გამოავლენს.

ვაჟთა ტურნირის კიდევ ერთი სიურპრიზი გახლდათ ამერიკელი ვეტერანის ჯიმი კონორსის დამარცხება ნაკლებად ცნობილ დასავლეთგერმანელთან პატრიკ კიუნენთან— 7:5, 6:7, 6:7, 7:6, 3:6.

უიმბლდონის ორგზის ჩემპიონმა ბორის ბეკერმა (გფრ) ადვილად მოუგო ამერიკელ პოლ ანაკონს 6:3, 6:4, 6:4, ტიმ მაიოტმა (აშშ) კი ფრანგი ანრი ლეკონტი დაამარცხა — 6:4, 7:6, 4:6, 6:2. ვაჟთა ტურნირში ჯერ კიდევ ბევრი შეხვედრაა დაუმთავრებელი და გამოტოვებული.

ნბა—ს ნარჩინებულები

საინტერესო სტატისტიკა გამოქვეყნდა ზაგრების „სპორტსკე-ნოვოსტში“ ნბა-ს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ.

ამერიკელმა მიმომხილველებმა საუკეთესო მოთამაშედ სცნეს „ჩიკაგო ბულზის“ თავდამსხმელი მაიკლ ჯორდანი (229 ხმა), მეორე ადგილი წილად ხვდა „ბოსტონ სელტიქსის“ თავდამსხმელს ლარი ბიორდს (56) მესამე იყო „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ მცველი ირვინ „მეჯიკ“ ჯონსონი (28).

რეფერენდუმის შედეგები მწვრთნელთა შორის ასეთია: პატ რალეი (ლოს-ანჯელეს ლეიკერსი — 76 ხმა), დუგ მოე („ლენკერ ნაგითსი“ — 42), კეისი ჯონსი („ბოსტონ სელტიქსი“ — 16).

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის საუკეთესო მსაჯად დაასახელეს ფარლ შტრომი. საუკეთესო სნაიპერთა ხუთეული კი ასე გამოიყურება: მაიკლ ჯორდანი 82 ტჩი, 2868 ქულა დომინიკ უილკინსი („ატალანტა ჰოუქსი“) — 78, 2397, ლარი ბიორდი — 76, 2275, ჩარლ ბარკლეი — 80, 2274, კ. მელოუნი 82, 2268.

პუბლიკაცია მოამზადა
მერაბ კალანდაძემ.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 30 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ჩემპიონები ურჩევენ დამწყებ სპორტსმენებს — **14.10 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **19.15 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — **19.55 (2);** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი — **24.00 (2).**

1 ივლისი. დილის ტანვარჯიში— **9.00 (2);** სპორტული სარბიელი (სპორტისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების პრემიერა) — **14.45 (2);** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი — **21.15 (2)** და **0.35 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 1 ივლისი. სპორტული სარბიელი (სპორტისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების პრემიერა) — **14.45;** კალათბურთის ვარსკვლავები — **23.15.**

გატაცება—სპორტული შარჟი

ალბათ, ჩვენს ქალაქში არ დარჩენილა ჟურნალ-გაზეთი ჯემალ კვანტალიანის ერთი სპორტული შარჟი მაინც რომ არ გამოქვეყნებულიყო. სპორტის ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ჯემალ კვანტალიანი თავის დროზე ნიჭიერი ტანმოვარჯიშე და მოცეკვე იყო. 15 წლისა, იგი ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლებისა და საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადების ჩემპიონი გახდა, სპორტულ ტანვარჯიშში გამოდიოდა რესპუბლიკის, სპორტსაზოგადოებების „ლოკომოტივისა“ და „ბურევესტნიკის“ საკავშირო ნაკრებ გუნდებში, მაგრამ სტუდენტთა II საკავშირო თამაშებზე მძიმედ დაშავდა და აქტიურ სპორტს გამოეთხოვა.

შემდეგ მსაჯობას და მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი, და რაღა თქმა უნდა, თავისუფალ დროს ბავშვობის გატაცებას — მეგობრული შარჟების ხატვას უთმობდა. განსაკუთრებული სიყვარულით იგი თავისი მეგობრების — სპორტსმენების შარჟებს ქმნის. ჯ. კვანტალიანის ნამუშევრებიდან უმეტესობა სახელოვან ტანმოვარჯიშეებს, მოჭიდავეებს, კალათბურთელებს, ხელბურთელებს, ფეხბურთელებს ეძღვნება. ვის არ შეხვდებით აქ? აი, ლარისა ლატინინა და ლიუდმილა ტურიშჩევა, გივი კარტოზია და სოსლან ანდიევი, გურამ საღარაძე და ლევან თედიაშვილი, ალექსანდრე მედვედი და შოთა ლომიძე, ბორის შახლინი და პაატა შამუგია, ჯემალ ცერცვაძე და თამაზ ანთაძე, გავრილ კაჩალინი, ლევ იაშინი, მურთაზ ხურცილავა...

პროფესიით მშენებელი ინჟინერი, ჯ. კვანტალიანი დიდხანს მუშაობდა თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოში სპორტული მოედნებისა და ობიექტების მშენებლობაზე, ამჟამად იგი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მსახურობს, დროდადრო პრესაში საინტერესო პრობლემატური წერილებით გამოდის სპორტული ტანვარჯიშის საკითხებზე (სხვათა შორის, სპორტის ოსტატ მორეტა ზვიადაძესთან ერთად საქართველოს რადიოთი დილის ტანვარჯიშიც მიჰყავს).

ოთარ ნოზაძე.

გთავაზობთ ჯემალ კვანტალიანის რამდენიმე შარჟს: მარცხნიდან — მწვრთნელები ვახტანგ კუხიანიძე, გურამ პაპიტაშვილი, გიორგი ავალიშვილი და ფოტორეპორტიორი მიხეილ ზარგარიანი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05410

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.